

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა



ჭიათურის მუნიციპალიტეტი

საქართველო

2020



მერის მიმართვა

ჭიათურის მუნიციპალიტეტი თავისი რელიეფით, ბუნებრივი წიაღისეულით, ტურისტული და კულტურული თავისებურებებით და სტუმართმოყვარეობით გამორჩეული მხარეა და შესაძლებლობას გვაძლევს ხელი შევუწყოთ ეკონომიკური ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას, რაც ჩვენთვის მთავარი გამოწვევაა. მიზანი მიიღწევა პარტნიორებთან ურთიერთობით, მხარდაჭერითა და გამოცდილების გაზიარებით, რაც საშუალებას მოგვცემს შევძლოთ გეგმის გენერირება და განხორციელების უზრუნველყოფა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია მიესალმება ევროკავშირის, როგორც ჩვენი მთავარი პარტნიორის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ და გამოვთქვამთ მზადყოფნას ყოვლისმომცველი და შინაარსობრივი თანამშრომლობისათვის, რომელიც საბოლოო მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში სამოქალაქო და კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და დონორების ჩართვას, რომელთა ინიციატივები, პროექტები და პროგრამები თავის წვლილს შეიტანს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მთავარ პრიორიტეტებს წარმოადგენს ტურისტული ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა.

მადლობას მოგახსენებთ ჩემი და ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახელით, საინტერესო ინიციატივისათვის და ჩვენის მხრივ ვიღებთ ვალდებულებას პირნათლად შევასრულთ ის ვალდებულებები, რაც შეთანხმებული იყო თანამშრომლობის პროცესში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადების დროს.

გივი მოდებაძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერი

შინაარსი

1. მოკლე შეჯამება
2. ცხრილები და შემოკლებები
3. გეგმის შესავალი
4. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი
5. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი
 - 5.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი
 - 5.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები
 - 5.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია
 - 5.4. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა
 - 5.5. მიწა და ინფრასტრუქტურა
 - 5.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩოები
 - 5.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა
 - 5.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი
6. SWOT ანალიზი
7. ხედვა და მიზნები
8. სამოქმედო გეგმა
9. დაფინანსების სქემა
10. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

1. მოკლე შეჯამება

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავებულია ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის სტრუქტურისა და შინაარსის ფარგლებში რეკომენდაციების შედეგად. გეგმა შემუშავდა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით და საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით.

გეგმა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობის მიერ შემუშავებულია მუნიციპალიტეტის ძლიერი მხარეების გამოსაყენებლად და მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარ გამოწვევებზე საპასუხოდ: ბიზნესის განთავსების ადგილებში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის (გზა, წყლის მიწოდების სისტემები) არასათანადო დონე, მუნიციპალიტეტში, პირველადი სასოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვის ადგილების სიმცირე, ფინანსური რესურსების სიმცირე ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისთვის, ეკონომიკის დივერსიფიკაციისათვის საჭირო სექტორებისთვის სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დაბალი დონე, ქალაქში არსებული შენობებისა და სივრცეების არაოპტიმალურად გამოყენება, პანდემიის შემდგომი პერიოდისთვის მუნიციპალიტეტის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება შიდა ტურისტების მოსაზიდად და სხვა. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვა მოიცავს გრძელვადიან პერიოდს და გულისხმობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის დივერსიფიცირებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასასაქმებლად და მათთვის შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციის შესაფერისი ანაზღაურების უზრუნველყოფას. მის მისაღწევად გეგმით დასახულია შემდეგი მიზნები: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა; ადგილობრივი სამუშაო ძალის უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება; ქალაქის ისტორიული ნაწილების ეკონომიკური რევიტალიზაცია.

მიზნების მისაღწევად გეგმით დასახულია შემდეგი ღონისძიებები: ჩაის პლანტაციებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ საწარმოებთან წყლის სისტემების მოწყობა, სამაცივრე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, იაფი ფინანსური რესურსი დამწყები ბიზნესებისთვის, სოფელის მეურობაში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება, ტრენინგები ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისთვის, ჭიათურის მარკეტინგული პოზიციონირება ქართულ მედია სივრცეში, ძუძუანას მღვიმის ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, საბაგირო გზის ცენტრალურ სადგურთან ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განსახორციელებლად მობილიზირებული იქნება 1 416 ათასი ლარი (437 ათასი ევრო). სახელმწიფო გამოყოფს გეგმის განსახორციელებლად საჭირო თანხის მნიშვნელოვან ნაწილს - 662 000 ლარს (204 ათასი ევრო). გადაწყვეტილება შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს უკვე მიღებული აქვთ. სახელმწიფოს მიერ დაფინანსდება პირველი მიზნის მისაღწევად საჭირო აქტივობების ნაწილი. ადგილობრივი ბიუჯეტი დააფინანსებს საჭირო თანხის 30%-ს. გეგმის განსახორციელებლად მობილიზებულია საერთაშორისო ორგანიზაციების თანხები, რაზეც უკვე გაფორმებულია შესაბამისი შეთანხმებები. ადგილობრივი მცირე ბიზნესის კონტრიბუცია გეგმის განხორციელებაში იქნება 32 ათასი ლარი (9.9 ათასი ევრო).

2. ცხრილები და შემოკლებები

2.1. ცხრილები

ცხრილი 1. სამოქმედო გეგმა

ცხრილი 2: დაფინანსების სქემა

ცხრილი 3. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

2.2. შემოკლებები

M4EG - მერები ეკონომიკური ზრდისთვის

LED - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება

LEDP - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

SWOT – ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები

3. გეგმის შესავალი

ჭიათურის მუნიციპალიტეტი 2018 წლის მაისიდან შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“.

მუნიციპალიტეტს გააჩნია შემდგომი განვითარების ზოგადი გეგმა, ხოლო ევროკავშირის ინიციატივა მერები ეკონომიკური ზრდისთვის ინიციატივის ფარგლებში, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავებულია ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების წინაშე მდგარი კონკრეტული გამოწვევების გადასაჭრელად.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმა სხვა სტრატეგიებისაგან განსხვავებით, ფოკუსირდება კერძო სექტორის განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე ქალაქ ჭიათურასა და მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალ 60 სოფელში. სახელმწიფოს მიერ 20 სოფელს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი აქვს მინიჭებული. მუნიციპალიტეტის 542 კმ²-ზე 39.1 ათასი კაცი ცხოვრობს. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 73 კაცი კმ²-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კმ²) აღემატება.

მუნიციპალიტეტში შრომის ბაზრის მთავარი დამსაქმებელია შპს „ჯორჯიან-მანგანეზი“, სადაც დასაქმებულია 3500-მდე მუშა-მოსამსახურე. ჭიათურა მანგანუმის მოპოვებისა და გადამუშავების უმნიშვნელოვანესი ცენტრია კავკასიაში და მანგანუმის კონცენტრატით ამარაგებს ზესტაფონში მდებარე ფეროშენადნობთა ქარხანას. ამჟამად ჭიათურაში მოპოვებული მანგანუმი საქართველოს საერთო ექსპორტის მნიშვნელოვან წილს შეადგენს. კომპანია, გადაიარაღების შემდგომ აპირებს ათასი სამუშაო ადგილით შეამციროს დასაქმებულთა რაოდენობა.

საბჭოთა ეკონომიკის დაშლის შემდეგ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა თითქმის 50%-ით შემცირდა. ქალაქ ჭიათურაში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 30% ცხოვრობს, რომელიც ძირითადად მუნიციპალიტეტის სოფლებიდან არიან მიგრირებულები. თუმცა ეს პროცესიც საფრთხის წინაშე დგას, რადგან სოფლის მოსახლეობის საშუალო ასაკი (45.1 წელი) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საშუალო ასაკზე მაღალია (42.5 წელი). არასაკმარისი სამუშაო ადგილები, მძიმე სამუშაო პირობები, არასათანადო საცხოვრებელი პირობები და სერვისების დაბალი დონე განაპირობებს მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის მიგრაციის მაღალ მაჩვენებელს.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა თანხვედრაშია ქვეყნის და ადგილობრივი განვითარების ისეთ სტრატეგიებთან, როგორცაა: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია, საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და ჭიათურის განვითარების დოკუმენტი. მუნიციპალიტეტი მუშაობს ქალაქ ჭიათურის ეკონომიკური რეგენერაციის გეგმაზეც.

გეგმა შემუშავებულია კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან, მეზობელ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სტანდარტების შესაბამისად.

გეგმის განხორციელებისათვის ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 427 160 ლარი, რომელიც შეადგენს მთლიანი ბიუჯეტის 30%. ხოლო დონორი ორგანიზაციებიდან შემოსული თანხა შეადგებს მთლიანი საორიენტაციო თანხის 21%, დანარჩენი თანხები მოზიდულია სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებიდან. დონორებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ თანხების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

4. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებისას მერის უშუალო ჩართულობით მოხდა ადგილობრივ ხელისუფლების, ბიზნეს სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კონსულტაციების გამართვა, ინიციატივის კონცეფციის გაცნობა, ჩატარდა შეხვედრები ეკონომიკური აქტივობების ცალკეული სექტორებთან, საჭიროებების გამოვლენის, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. გამოვლინდა დაინტერესებული მხარეები ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელებაზე მათი გავლენისა და დაინტერესების გათვალისწინებით.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობაში შემადგენლობაში შევიდნენ კერძო სექტორის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მერის ბრძანებით დაინიშნა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ოფიცერი (LEDO) (რომელთანაც კომუნიკაციას ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში ახდენდა კერძო სექტორის წარმომადგენლები) და შეიქმნა უშუალოდ გეგმის შემუშავებელი ჯგუფი, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის შეთანხმება მოხდა პარტნიორთა საბჭოსთან.

4 შეხვედრა ჩატარდა მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან სხვადასხვა ეკონომიკური სექტორების მიხედვით შერჩეულ ფოკუს ჯგუფებთან. 1 გაფართოებული შეხვედრა მუნიციპალიტეტში მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების, საჯარო სექტორის და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან. 1 შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან, 1 შეხვედრა სკოლის მოსწავლეებსა და მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოს წევრებთან. შეხვედრების მიმდინარეობისას დამსწრე პირებს ეთხოვათ ანკეტური კითხვარების შევსება, შეხვედრების დროს შეგროვდა, როგორც ეკონომიკური ანალიზისთვის საჭირო მონაცემები, ასევე მოხდა საჭიროებების გამოვლენა, ხედვისა და მიზნების ვერსიების შემუშავება. შეხვედრების ორგანიზებისას გათვალისწინებული იქნა გენდერული ბალანსი 7 ქალი და 7 კაცი.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა შემდეგნაირად განისაზღვრა: 1 წარმომადგენელი კერძო სექტორიდან, 1 წარმომადგენელი არასამთავრობო სექტორიდან, 1 წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის მერიიდან და 1 ეკონომიკური განვითარების ოფიცერი (LEDO). პარტნიორობაზე გადაწყვეტილებების მიღება ხმათა უმრავლესობით მოხდა, უმეტესი ნაწილი კონსესუსის გზით შეჯერდა. გეგმის შემუშავების პროცესში საკითხების განხილვა პერიოდულად ხდებოდა პარტნიორთა საბჭოზე. დიალოგის პროცესში განიხილული იქნა სექტორებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები, იდეების დონეზე მიღწეული იქნა შეთანხმება გარკვეულ პარტნიორულ ურთიერთობებზეც. მაგალითად, ჭიათურის მუნიციპალიტეტში დაფუძნებული კოოპერატივები, რომლებსაც ამ ეტაპზე ჩაის კულტურის მოყვანასა და გადამამუშავებას ახორციელებენ. შეხვედრებზე გამოიკვეთა ის პრობლემები და ინიციატივები, რაც იქნება გათვალისწინებული გეგმის შემუშავების პროცესში, ბაზარზე ქართული ჩაის დასამკვიდრებლად.

5. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

5.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

მუნიციპალიტეტში შრომისუნარიანი მოსახლეობის უმუშევრობის მაჩვენებელი მაღალია. მუნიციპალიტეტის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა დასაქმებულია საჯარო სტრუქტურებში, წიაღის მოპოვებისა და მისი გამდიდრების სფეროში, საფინანსო სექტორში, განათლების სისტემაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში, გადამამუშავებასა და რეალიზაციაში, ვაჭრობის სფეროსა და ტურიზმში.

ჭიათურის მუნიციპალიტეტში მთავარი დამსაქმებელია უცხოური ინვენსტორი შპს ჯორჯიან მანგანუმი, რომელიც მოიპოვებს მანგანუმის მადანს და ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია საქართველოს ინდუსტრიულ მრეწველობაში. დღეისთვის კომპანიაში დასაქმებულია 3500-მდე მუშა-ხელი და ამ მაჩვენებლით კომპანია ყველაზე დიდი დამსაქმებელია მუნიციპალიტეტში და იმერეთის რეგიონში. მაგრამ მოსალოდნელი სამთო გამამდიდრებელი კომბინატის გადაიარაღების შემდგომ ათასი სამუშაო ადგილით შემცირდება კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა.

2014 წლიდან ჭიათურაში შემცირებულია კვარცის ქვიშის, მარმარილოს და კირქვის მოპოვება და გადამუშავება. რის გამოც უმუშევრობის დონემ მზარდი ტენდენცია მიიღო. 2014 წელს უმუშევრობის დონე ჭიათურის მუნიციპალიტეტში (10%) ეროვნულ მაჩვენებელზე (12.4%) ნაკლები იყო. იმ ფაქტორის გათვალისწინებით რომ ჯორჯიან მანგანუმიდან კონტინგენტის განთავისუფლებაა მოსალოდნელი, უახლოეს მომავალში უმუშევრობის დონის ზრდა მთავარ გამოწვევად იქცევა მუნიციპალიტეტში.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობას. ამ სექტორმა განიცადა დადმასვლა გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო და შესაბამისად მისი აქტივიზაციაში მოყვანა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსკენ ჭიათურის მუნიციპალიტეტიდან ბაზარს მიეწოდებოდა 1200 ტონაზე მეტი უმაღლესი ხარისხის ქართული ჩაი და დღეს ჩაის პლანტაციები განადგურების პირას არის მისული. 2015 წლიდან სახელმწიფოს დახმარებით დაიწყო ზრუნვა ჩაის კულტურის ასაღორძინებლად. დღეის მონაცემებით 100 ჰა ჩაის პლანტაციის აღდენა მიმდინარეობს და 2021 წლის ბოლომდე ეს რიცხვი გაიზრდება 50 ჰა-ით. სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს უმუშევრობის დონის შემცირებაში. ჭიათურის მუნიციპალიტეტში წარმოებულმა ჩაიმ 2015 წელს მსოფლიო „ჩაის ფესტივალზე“, სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში და შემდგომ ჩინეთის სხვადასხვა ქალაქებში წარმატებით წარმოჩინდა და გაითქვა სახელი, ფესტივალზე მიიღო 100%-იანი შეფასება სხვადასხვა სასარგებლო ნივთიერებების მაღალი შემცველობითა და ორიგინალური გემოს ტიტულით და გადასცეს სიგელი ოქროს მედალთან ერთად.

სოფლის მეურნეობაში ჩაის კულტურის გარდა პრიორიტეტული თვალსაზრისით გამოსაყოფი სასათბურე მეურნეობა, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა. ჭიათურის მუნიციპალიტეტში თუ გასულ წლებში ვარდის სამი საჩითილე დახურული ტიპის სასათბურე მეურნეობა ფიქსირდებოდა, რომლებიც 45 000 ცალ ვარდს აწარმოებდა, ამ ეტაპზე დაემატა კიდევ ერთი საჩითილე მეურნეობა და წელიწადში საერთო მოცულობამ 50 000 გადააჭარბა.

2014 წლის მდგომარეობით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა მუნიციპალიტეტში 22 890 სულს აღწევდა. უკანასკნელი სტატისტიკის მიხედვით ფიქსირდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ზრდის ტენდენცია 5%-დან - 10%-მდე შუალედში.

მუნიციპალიტეტში საკმაოდ კარგად არის განვითარებული მეფუტკრეობა. 2018 წლის მდგომარეობით მეფუტკრეობის საქმიანობაში ჩართულია 114 ფერმერი (აქედან 15-მდეა პროფესიონალი მეფუტკრე) და მათი ჯამური წლიური წარმოება შეადგენს 65048.65 ტონა თაფლს. მუნიციპალიტეტში მეფუტკრეობის განვითარებას ხელს უწყობს შესაბამისი კლიმატური პირობები და მაღალი თაფლოვანი შემცველობის მქონე ყვავილები.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სავაჭრო სექტორს, სადაც ყველაზე მეტი დამატებითი ღირებულება იქმნება, მიუხედავად იმისა რომ ადგილობრივი წარმოების წილი მხოლოდ 20%-მდეა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ბანკები და მიკრო საფინანსო ორგანიზაცია, რომელიც გარკვეულ აქტივობას ქმნის ეკონომიკაში და ეს სექტორი დამატებით სტიმულირებას არ საჭიროებს.

COVID-19 პრევენციისთვის ქვეყანაში გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მუნიციპალიტეტის საცალო ვაჭრობის სექტორს. პანდემიების გამეორების შემთხვევაშიც საცალო ვაჭრობის სექტორი მნიშვნელოვნად დაზარალდება. ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოხამრება პრიორიტეტი გახდა მოსახლეობისა და ბიზნესისთვის. მაგრამ გაიზარდა სისუფთავის, შეფუთვის, მიწოდების მოთხოვნებიც მის მიართ. ადგილობრივი მცირე ბიზნესი თვლის, საჯარო სტრუქტურების მხარდაჭერის გარეშე გაუჭირდებათ სიტუაციიდან სწრაფად გამოსვლა.

მსოფლიოში განვითარებული ეპიდოლოგიური ფონი მომავალი ერთი წლის მანძილზე პასიურ მდგომარეობაში ჩააყენებს ისეთ მნიშვნელოვან სექტორს, როგორცაა ტურიზმი. ტურისტული თვალსაზრისით მუნიციპალიტეტში პოპულარობას განსაზღვრავს აქ არსებული ათეულობით მღვიმე, რომელთაგანაც დიდ ინტერესს იწვევს მოძუანას მღვიმე, სადაც აღმოჩენილია მსოფლიოში უძველესი ფერადი სელის ძაფი, რომელიც წარმოებულია 32000 წლის წინ.

მუნიციპალიტეტში მრავლადაა ისტორიული ეკლესია-მონასტრები, კლდეში ნაკვეთი ციხეები, დღეისათვის ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული რამოდენიმე ძველი კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეყვანილი. ქალაქს აქვს განსაკუთრებული რელიეფი, კლიმატური და ბუნებრივი პირობები, რაც ვიზიტორების დიდ ინტერესს იწვევს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჭიათურა ცნობილია როგორც, სამგზავრო საბაგროების ქალაქი. ჭიათურას კვეთავს 13 საბაგრო გზა. ბოლო წლებში აშენდა 4 ცენტრალური სადგური. რეაბილიტაციას საჭიროებს 3, ჭიათურის რელიეფიდან გამომდინარე საბაგრო გზა ყველაზე მოხერხებული და მისაღები ტრანსპორტია. საბაგრო კომპლექსთან ერთად გაუმჯობესდა ტურისტული ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. უახლოესი ორი წლის მანძილზე აღნიშნული სექტორების ხელშეწყობა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება ბიძგს მისცეს მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ზრდას.

სახელმწიფომ პანდემიის შედეგების შესამცირებლად, ტურიზმის სექტორი გაათავისუფლა ქონების გადასახადის გადახდისაგან. ქონების გადასახადი ერთადერთი ადგილობრივი გადასახადია საქართველოში. მუნიციპალიტეტში დიდი სასტუმროების არ არსებობის გამო, ქონების გადასახადის გაუქმება ნაკლებად დააზარალებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტები საქართველოში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ ქვეყანის ბიუჯეტში მობილიზებული დამატებითი ღირებულების (დღგ) ნაწილს. პანდემიის გამო გამოწვეული კრიზისის შედეგად შემცირდება ბიზნესის მიერ გადახდილი დღგ, შესაბამისად შემცირდება მუნიციპალიტეტის დაფინანსება ცენტრალური ბიუჯეტიდან. მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შემცირება პირველ რიგში შეამცირებს მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის განკუთვნილ ბიუჯეტს.

5.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები

მუნიციპალიტეტს ყავს ერთ-ერთი უმსხვილესი უცხოური ინვენსტორი ქვეყნის მაშტაბით შპს „ჯორჯიან მანგანუმი“, რომელიც ძირითადად თანამშრომლობს სახელმწიფოსთან, ხოლო ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობა სოციალური პაკეტებით განისაზღვრება კონკრეტული პრობლემის აღმოსაფხვრელად და ეს თანამშრომლობა არ მოიცავს გრძელვადიან პერიოდს. რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესთან თანამშრომლობას, მერიაში არ არსებობს ბიზნესთან ურთიერთობის ჩამოყალიბებული ინსტიტუციონალიზებული თანამშრომლობის პლანდფორმა და მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში 48 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ფუნქციონირებს, თანამშრომლობა არ მოიცავს გრძელვადიან პერიოდს და ამ პერიოდში საერთო მიზნების განხორციელებას. მუნიციპალიტეტის და მცირე ბიზნესის, ისევე როგორც კოოპერატივების ერთმანეთთან თანამშრომლობა მოკლევადიანი ურთიერთობით ხასიათდება და ეს თანამშრომლობა აქტუალურობას იძენს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული პროექტებიდან ერთობლივი სარგებლის მიღების მოლოდინით. მუნიციპალიტეტის მერი მუდმივ მზადყოფნას აცხადებს კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის ჩამოყალიბებაზე და ეს პროცესი ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს.

5.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის პრიორიტეტს წარმოადგენს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების გაზრდის და ხელისუფლების საქმიანობის ღიაობის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვას და კორუფციის დონის შემცირებას საჯარო ადმინისტრირების პროცესში.

ჩატარებული შეხვედრების და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, კერძო სექტორის პრიორიტეტულ საჭიროებას წარმოადგენს მერიის პროცედურების შესახებ ინფორმაციის ინტერაქციულ რეჟიმში მიღების შესაძლებლობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეფერხებების აღმოფხვრა და სანებართვო საქმისწარმოების გამარტივება. ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიას ყავს ორი თანამშრომელი გამოყოფილი იმასათვის, რომ მოემსახუროს საზოგადოების იმ ნაწილს, რომლებიც საჭიროებენ კონსულტაციასა და ხელშეწყობას სახელმწიფოს სხვადასხვა პროგრამებში ჩასართავად. 2017-2018 წლებში მერიის თანამშრომლების კონსულტაციით მუნიციპალიტეტს ყავს 16 ფიზიკური და იურიდიული პირი, რომლებიც დაფინანსდნენ პროგრამით „აწარმოე საქართველოში“, რამაც საშუალება მისცა მათ მიეღოთ ბიზნესისათვის ძირითადი და საბრუნავი საშუალებები.

5.4 ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

ფინანსური რესურსის მოძიება ძირითადად შესაძლებელია საქართველოში ლიცენზირებულ მოქმედ კომერციულ ბანკებში, მიკროსაფინანსო და დონორ ორგანიზაციებში. ასევე მოქმედებს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ფინანსური რესურსით მხარდაჭერას მოიცავს. ჭიათურის მუნიციპალიტეტმა მიიღო გრანტი ევროკომისიისგან ადგილობრივი თანამშრომლობა იმერეთის მეორე დონის პოსტინდუსტრიული ქალაქების გამოცოცხლებისათვის 91 000 ევროს ოდენობით და აქედან 30 000 ევრო ეტაპობრივად გაიცემა დამწყები და მიკრო ბიზნესის ხელშეწყობისათვის. ამ ეტაპისათვის 10 000 ევრო გაცემულია ჩაის მწარმოებლებზე ერჯერადი შესაფუთი დანადგარის შეძენის მიზნობრიობით.

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებიდან და მისო ორგანიზაციებიდან მუნიციპალიტეტში 5 საფინანსო ინსტიტუტია, რომელთაგან 4 ბანკია და 1 მიკრო საფინანსო ორგანიზაცია, რომელიც 2021 წლიდან ერთ-ერთ ბანკის პორტფელში გადავა და მათი რაოდენობა 4 იქნება. ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით მომხმარებელთა უფლებების დაცვა სასესხო/საკრედიტო ურთიერთობებში, ასევე მოსახლეობის ჭარბვალაიანობის რისკის შემცირების მიზნით საფინანსო ინსტიტუტებს დაუწესდათ ზედა ზღვარი ეფექტურ განაკვეთზე 50 %-ზე. საპროცენტო განაკვეთი ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფისთვის. წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, 2016-2017 წლის დეკემბრის მონაცემებთან შედარებით ეროვნული ვალუტის შემთხვევაში, იურიდიულ პირებზე შემცირდა 0.1%-ით და 11.4% შეადგინა, ხოლო ფიზიკურ პირებზე საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა 4.4 პუნქტით და 28.0%-ს გაუტოლდა. უცხოური ვალუტით სესხების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთები იურიდიული პირებისთვის შემცირდა 0.8%-ით და 8.0% შეადგინა, ფიზიკური პირების შემთხვევაში კი 0.7%-ით და 7.9%-ის ნიშნულზეა.

მნიშვნელოვანია რომ მუნიციპალიტეტში არსებული საფინანსო ორგანიზაციები ხელმისაწვდომს ხდის 30 000 ლარამდე სესხის აღებას ყოველგვარი გირავნობის გარეშე ბიზნესის განვითარების მიზნობრიობით.

2014 წლიდან მცირე და საშუალო ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის მიზნით დაიწყო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ითვალისწინებს მეწარმე-სუბიექტებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას.

5.5. მიწა და ინფრასტრუქტურა

ბიზნესის განვითარებასთან ერთად იზრდება მოთხოვნა მიწაზე, შენობა-ნაგებობებზე და ინფრასტრუქტურაზე. მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია 233 შენობა-ნაგებობა, რომლებშიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია, ადმინისტრაციული ერთეულები, საბავშვო ბაღები, მედ-პუნქტები, ბიბლიოთეკები, სამუსიკო სკოლები და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციები და შესაბამისად მუნიციპალიტეტი ვერ პასუხობს დაინტერესებული პირების მოთხოვნას, უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სარგებლობაში გადაცემა, გარდა 2 ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ყოფილი ადმინისტრაციული შენობებისა, რომლებზეც მიმდინარეობდა მოლაპარაკება კერძო სექტორთან იჯარის ფორმით განკარგვაზე, მაგრამ ეპიდოლოგიურმა ვითარებამ შეაჩერა ეს პროცესი.

მუნიციპალიტეტის ბალასზეა 40 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელზეც მოთხოვნა დაფიქსირებულია იჯარის ფორმით განკარგვაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსაყვანად, მაგრამ ეპიდოლოგიურმა ვითარებამ ეს პროცესიც გარკვეული ვადით გადაწია. მუნიციპალიტეტში არსებულ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოთხოვნას განიხილავს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით. მუნიციპალიტეტი დაეთანხმა სამინისტროს ქონების ეროვნულ სააგენტოს, მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე 100 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემაზე, საზოგადოების მხრიდან მომართვიანობის გათვალისწინებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 2021 წლამდე საპროგნოზო მაჩვენებლით მოთხოვნა გაიზარდება 150 ჰა-მდე.

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებს სულ 23 903 ჰა უკავია, რაც მისი მთლიანი ფართობის 45%-ია. მიწების კატეგორიები შემდეგნაირია: სახნავ-სათესი მიწები - 7 702 ჰა, ხილისა და მრავალწლიანი ნარგავების ბაღები - 2 600 ჰა და სათიბ-სამოვრები - 13 652 ჰა.

მუნიციპალიტეტში არსებულ სათიბ-საძოვარ მიწებს, სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 56% უკავია. ტყით დაფარულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 45%.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს და არც უახლოეს პერიოდში იგეგმება ბიზნესის ხელშემწყობი რაიმე სახის ინფრასტრუქტურის შექმნა.

5.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩოები

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს. ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება ადგილობრივი მოსაკრებლების დაწესება და მათი განაკვეთის განსაზღვრა. დღეისთვის ჭიათურის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 3 ადგილობრივი მოსაკრებელი, რომელთა ადმინისტრირებაც ხდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებების მიხედვით. ეს მოსაკრებლებია: 1. მშენებლობის ნებართვის; 2. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების; 3. სათამაშო ბიზნესის. ბიზნეს გარემოს შეფასების თანახმად, კერძო კომპანიებს საჯარო უწყებებთან ურთიერთობის პრობლემა ნაკლებად აქვთ. მნიშვნელოვანია რომ მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურები საზოგადოების მხრიდან დასმულ საკითხებსა თუ ნებართვებზე უწყვენ მომსახურებას კომპეტენციის ფარგლებში დროის უმოკლეს ვადებში.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის კომპეტენციები საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს განსაზღვრისთვის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების ჭრილში საკმაოდ შეზღუდულია და მთავრობის კომპეტენციას წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტში მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაცია გამარტივებული წესით. განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც მიწის ნაკვეთით მოსარგებლებს საკადარტო აზომვითი ნახაზების საფასურის გარდა სხვა ხარჯები არ აქვთ გადასახდელი, ხოლო პროცედურულ ნაწილში უშუალოდ მუნიციპალიტეტია ჩართული.

5.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

შრომითი რესურსისა და უნარიანი კადრების მიგრაცია ზრდის კვალიფიკაციური შრომითი რესურსის ნაკლებობას მუნიციპალიტეტში.

შპს „ჯორჯიან მანგანუმს“ აქვს პროფილური სასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფს კადრების მომზადებას სამუშაო პირობებისათვის. რაც შეეხება ზოგადად კადრების პროფესიული გადამზადების მიმართულებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ეკონომიკის გამრავალფეროვნების პროცესში, ეს იქნება წარმოების, მომსახურეობის, ყიდვა-გაყიდვის თუ სხვა საგანმანათლებლო სერვისის შეთავაზებით, მუნიციპალიტეტს არ აქვს შესაძლებლობა, რომ განახორციელოს მსგავსი ტიპის სწავლების სრული დაფინანსება, სწორედ ამიტომ მუნიციპალიტეტს დაგეგმილი აქვს საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, კერძო და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით განახორციელოს სხვადასხვა ტიპის ტრენინგები, სადაც ყურადღება მიექცევა კერძო და საჯარო სექტორებს შორის შეიქმნას დახვეწილი თანამშრომლობისათვის პლატფორმა. მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო კაპიტალის უნარ-ჩვევების განვითარება და მენეჯმენტის რაციონალურად ფუნქციონირება პრაქტიკულ ამოცანებზე დაყრდნობით განხორციელდეს. საზოგადოების მსგავსი სტიმულირებით შევძლებთ, მივიღოთ შედეგი, რომელიც პასუხობს კონკურენტული ბაზრისა და ზოგადად საბაზრო ეკონომიკის გამოწვევას, რათა თითოეულმა ინდივიდმა პრაქტიკულ მაგალითებზე მიღებული ცოდნით გაიადვილოს ადაპტირება და თავი დაიმკვიდროს თავისუფალ ბაზარზე.

5.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

ჭიათურის მუნიციპალიტეტს, ისევე როგორც მთლიანად რეგიონს, მიმზიდველს ხდის ქვეყნის მაშტაბით უმსხვილესი ინვენსტორი შპს „ჯორჯიან მანგანუმის“ ფუნქციონირება, რომელიც გარდა იმისა რომ შრომის ბაზარზე ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელია, იქ მომუშავე პერსონალისა და მათი ოჯახებისათვის ეკონომიკური კეთილდღეობის განმსაზღვრელია. ამ კომპანიას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან უამრავი ვიზიტორი ყავს, რაც კარგი სტიმულის მომცემია მცირე და საშუალო ბიზნესის და ტურიზმის სფეროსათვის.

რეგიონს მიმზიდველ ხდის ის გარემოება, რომ სივრცე სადაც შეიძლება განვითარდეს ბიზნეს საქმიანობა, ხელსაყრელი იყოს ისეთ სამუშაო ძალაზე ხელმისაწვდომობა, რომელიც ადვილად

ადაპტირდება განსხვავებული პროფესიასთან. ინვენტორს შეუძლია მინიმალური ძალისხმევითა და მცირედი გადამზადებით თავისი საქმიანობის პროცესი უზრუნველყოს პროფესიული კადრებით, მაგალითად შპს „ჯორჯიან მანგანეზიდან“ 1000 კაცამდე სამუშაო ძალის განთავისუფლება გამოწვეულია არა კომპეტენციის ნაკლებობით, არამედ ტექნოლოგიური განვითარებით და ეს სამუშაო ძალა არის ისეთი გამოცდილების მქონე, რომელიც მარტივად შეძლებს ადაპტირებას განსხვავებულ სპეციალიზაციაზე.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიული მდებარეობა, საიდანაც თანაბარი წარმატებით შეიძლება მოხდეს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში საქმიანი კავშირების შექმნა და საჭირო კომუნიკაციის დამყარება უმსხვილეს ქალაქებთან, დასავლეთით უდიდეს ქალაქ ქუთაისამდე 1 სთ სავალი მანძილია, ხოლო დედაქალაქამდე მანძილი 2.5 სთ-ია.

მუნიციპალიტეტის ცენტრი-ქალაქი ჭიათურა ცნობილია როგორც საბაგიროების ქალაქი; მუნიციპალიტეტი მასში არსებული უძველესი მღვიმეებითა და კულტურულ-მემკვიდრეობითი ძეგლებით დიდ ინტერეს იწვევს ვიზიტორებში. ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილი ფერადი სელის ძაფი, რომელიც 32 000 წლისაა, კარგი განმსაზღვრელია მაშინდელი ცივილიზაციის დონის წარმოსადგენად, „ძაფმა“ უახლოეს წარსულშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, როდესაც ქალაქ ჭიათურის ცენტრი და მისი პერიფერიები ერთმანეთს დააკავშირა საბაგირო გზებით, ისევე როგორც ორი ქალაქი ჭიათურა და საჩხერე „ძაფზე“ გაბმული ტროლეიბუსით.

6. SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • დიდი უცხოელი ინვესტორის არსებობა; • ბუნებრივი რესურსები (მარგანეცი, მარმარილო, კვარცი, კირქვა); • რეაბილიტირებული ჩაის პლანტაციები; • თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები; • ისტორიული, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; • განვითარებული სავაჭრო სექტორი; • გამჭირვალე და კორუფციისგან თავისუფალი საჯარო სექტორი; • გამარტივებული საქმისწარმოება და სანებართვო პროცედურები; • მოსაკრებლის დაბალი ტარიფები; • ეკოლოგიურად სუფთა საბაგირო ტრანსპორტის ქსელის არსებობა ქალაქში; • მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის მხარდამჭერი სისტემის არსებობა; • საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობის პლათფორმის ჩამოყალიბების მზაობა მუნიციპალიტეტში 	<ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის განთავსების ადგილებში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის (გზა, წყლის მიწოდების სისტემები) არასათანადო დონე; • ნაკლებად ხელმისაწვდომი სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და სერვისები. • სამუშაო ადგილების სიმცირე. • კვალიფიკაციური შრომითი რესურსების გადინება; • შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის არარსებობა; • ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სიმცირე; • ფინანსების სიმცირე ადგილობრივი ბიზნესისთვის; • ბიზნესის ხელშემწყობი არასათანადო ინსტიტუციური ჩარჩო; • მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ვიზიტორებში და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოუმზადებლობა კორონავირუსის შემდგომ ფუნქციონირებისათვის
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ქალაქში არსებული საბაგირო გზების ინფრასტრუქტურის განახლებისათვის სახელმწიფოს მიერ თანხების გამოყოფა; • ქვეყანაში მოქმედი ბიზნესის ხელშემწყობი პროექტები; • მთის კანონის გავრცელება მუნიციპალიტეტის დასახლებებზე; 	<ul style="list-style-type: none"> • ქვეყანაში მიგრაციის მაღალი დონე • ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი • ეპიდემიოლოგიური ეფექტი ეკონომიკაზე • სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შეფერხება • ეპიდემიების გავრცელება

<ul style="list-style-type: none"> ქალაქის პრობლემების მოგვარებაში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის ზრდა 	
---	--

7. ხედვა და მიზნები

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის დივერსიფიცირება საშუალებას აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას დასაქმდეს და მიიღოს თავისი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციის შესაბამისი ანაზღაურება

მიზნები:

1. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა
2. ადგილობრივი სამუშაო ძალის უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება
3. ქალაქის ისტორიული ნაწილების ეკონომიკური რევიტალიზაცია

8. ცხრილი 1. სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაციას ახორციელებს მუნიციპალიტეტი. გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელებაში ყველა პარტნიორს გადაწყვეტილება მიღებული აქვს და შესაბამისი თანხები გამოყოფილია.

თემატური ბლოკები	მთავარი მიზნები	ქმედებები	ხანგრძლივობა (დაწყება / დასრულება)	მონაწილე პარტნიორები	საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)	მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები (Output (Product) indicators and targets)	შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები (Outcome (Result) Indicators and targets)
მიწა და ინფრასტრუქტურა წვდომა ფინანსებზე	1.1 მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა	1.1 ჩაის პლანტაციებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	01.2020 11.2021	მუნიციპალიტეტი	640 000 GEL 198 140 EU	დამაკავშირებელი 2.15 კ/მ საავტომობილო გზა რეაბილიტირებულია	გზის რეაბილიტაციით 30 % გაიზარდია წარმოებული პროდუქციის რაოდენობა
		1.2 მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ საწარმოებთან წყლის სისტემების მოწყობა	05.2020 10.2021	მუნიციპალიტეტი	100 000 GEL 31 000 EU	წყლის სისტემა მოწყობილია 3 ლოკაციაზე	გაიზარდია წარმოებული პროდუქციის რაოდენობა 10%
		1.3. სამაცივრე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.	04.2020 12.2021	საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალიტეტი, კოოპერატივები	44 000 GEL 13 622 EU	მოწყობილია 1 სამაცივრე მეურნეობა	გაზრდილია ადგილობრივი ფერმერების შემოსავლები
		1.4. იაფი ფინანსური რესურსი დამწყები ბიზნესებისთვის	05.2020 09.2021	მუნიციპალიტეტი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში	130000 GEL 40000 EU	დაფინანსება მიიღო ოთხმა ბიზნესმა	გაიზარდა სამუშაო ადგილები

უნარები ადამიანური კაპიტალის განვითარება	2.1 ადგილობრივი სამუშაო ძალის უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება	2.1. სოფელის მეურობაში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	05.2020 12.2021	მუნიციპალიტეტი	3 000 GEL 929 EU	გადამზადდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული 10 ადამიანი	სამუშაო ძალის უნარების განვითარებამ გააუმჯობესა პროდუქციის წარმოება და გაიზარდა ბიზნესისაგან მიღებული შემოსავალი
		2.2 ტრენინგები ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებსთვის	05.2020 12.2021	მუნიციპალიტეტი, ჭიათურის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი	3 000 GEL 929 EU	გადამზადდა 10 გიდი	ტურიზმის სექტორის მომსახურეობის ხარისხი გაუმჯობესებულია
გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	3.1 ქალაქის ისტორიული ნაწილების ეკონომიკური რევიტალიზაცია	3.1 ჭიათურის მარკეტინგული პოზიციონირება ქართულ მედია სივრცეში	04.2020 12.2021	მუნიციპალიტეტი, ჭიათურის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი	10000 GEL 3085 EU	ორ სხვადასხვა გამოცემაში კვარტალურად ქვეყნდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული ღირშესანიშნაობების შესახებ	ცნობადობა ჭიათურის ტურისტული ადგილების ღირშესანიშნაობების შესახებ გაზრდილია
		3.2 ბუბუნას მღვიმის ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა	05.2020 12.2021	მუნიციპალიტეტი, ჭიათურის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი	60 000 GEL 18 510 EU	შესრულებულია პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების პირველი ეტაპი - რეაბილიტირებულია 500 მ. ბილივი	ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები დასრულებულია და მიღებულია ექსპლუატაციაში
		3.3. საბაგირო გზის ცენტრალურ სადგურთან ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა	04.2020 11.2021	მუნიციპალიტეტი	200 000 GEL 61 700 EUR	მოწესრიგდა ცენტრალური საბაგირო გზის 2 სადგურის მიმდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურა	ჩამოყალიბდა ახალი ბიზნეს ლოკაცია, შექმნა სამუშაო ადგილები

9. ცხრილი 2. დაფინანსების სქემა

დაფინანსების სქემა წარმოდგენილია 1 416 000 ლარით, მათ შორის: ჭიათურის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება შეადგენს 427 160 ლარს რაც მთლიანი თანხის 30%-ია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 662 000 ლარი გამოყოფილი რაც 46.75%-ია, ბიზნეს სექტორის მონაწილეობა 32 000 ლარია და შეადგენს 2.25%-ს და დონორებიდან დასაფინანსებელი არის 294840 ლარი - მთლიანი თანხის 21%.

ღონისძიებები	საორიენტაციო ღირებულება	დაფინანსების წყარო				წყვეტა დაფინანსებაში	შენიშვნები
		ადგილობრივი ბიუჯეტი	მაღალი დონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები		
1.1 ჩაის პლანტაციებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	640 000 GEL 198 140 EU	22 000 GEL 6 811 EU	618 000 GEL 190 740 EU				
1.2 მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ საწარმოებთან წყლის სისტემების მოწყობა	115 000 GEL 35 630 EU	100 000 GEL 31 000 EU		15 000GEL 4 630 UE			
1.3. სამაცივრე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.	44 000 GEL 13 622 EU		44 000 GEL 13 622 EU				
1.4. იაფი ფინანსური რესურსი დამწყები ბიზნესებისთვის	336 000 GEL 103 700 EU	29 160 GEL 9 000 EU		12 000 GEL 3 700 EU	294 840 GEL 91 000 EU		
2.1. სოფელის მეურნეობაში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	3 000 GEL 930 EU	3 000 GEL 930 EU					
2.2. ტრენინგები ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისთვის	3 000 GEL 930 EU	3 000 GEL 930 EU					
3.1. ჭიათურის მარკეტინგული პოზიციონირება ქართულ მედია სივრცეში	12000 GEL 3700 EU	10 000 GEL 3 085 EU		2 000GEL 615 UE			
3.2. ძუძუნას მღვიმის ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა	65 000 GEL 20 053 EU	60 000 GEL 18 510 EU		5 000GEL 1 543UE			
3.3. საბაგირო გზის ცენტრალურ სადგურთან ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა	200 000 GEL 61 700 EU	200 000 GEL 61 700 EU					
ჯამი	1 416 000 GEL 437 201 EU	427 160 GEL 131 966 EU	662 000 GEL 204 362 EU	32 000GEL 9 873 EU	294 840 GEL 91 000 EU		

10. ცხრილი 3. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ქმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება)	მოსალოდნელი შედეგები თვე 1-6	მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12	მოსალოდნელი შედეგები თვე 13-18	მოსალოდნელი შედეგები თვე 19-24
1.1 ჩაის პლანტაციებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	01.2020 11.2021	ბიუჯეტში ასახულია პროექტირებისათვის საჭირო თანხა	შემუშავებულია საპროექტო სახარტუჯახრიცხო დოკუმენტაცია	გათვალისწინებული სამუშაოების პირველი ეტაპი 900 მ. გზის რეაბილიტაცია დასრულებულია	შესრულებულია პროექტით გათვალისწინებული 2.15 კმ გზის სამუშაოების ბოლო ეტაპი
1.2 მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ საწარმოებთან წყლის სისტემების მოწყობა	05.2020 10.2021	ბიუჯეტში ასახულია პროექტირებისათვის საჭირო თანხა	შემუშავებულია საპროექტო სახარტუჯახრიცხო დოკუმენტაცია	შესრულებულია პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ორ ლოკაციაზე	ბოლო ეტაპის სამუშაო დასრულებულია, წყლის სისტემა მოწყობილია 3 ლოკაციაზე და მიღებულია ექსპლუატაციაში
1.3. სამაცივრე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.	04.2020 12.2021	მიმდინარეობს მოკვლევა დაინტერესებული ფერმერების	პროგრამაში ჩართულია სამიზნე კოოპერატივები	სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გამოთხოვილია სამაცივრე კონტეინერი	დაინტერესებულმა კოოპერატივებმა მიიღეს სამაცივრე კონტეინერი
1.4. იაფი ფინანსური რესურსი დამწყები ბიზნესებისათვის	05.2020 09.2021	პრიორიტეტული სექტორები გამოვლენილია; დაინტერესებული ბენეფიციარები დარეგისტრირებული არიან; აპლიკანტების გადარჩევის პროცესი დასრულებულია	იაფი ფინანსური რესურსით ბიზნესი დაფინანსებულია;	დაფინანსებულია 4 ახალი ბიზნესი	გაიზარდა სამუშაო ადგილები, გაიზარდა ამ ბიზნესის შემოსავლები
2.1. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	05.2020 12.2021	შერჩეულია ტრენინგისთვის	ჩატარებულია ტრენინგების პირველი ეტაპი სამიზნე ჯგუფებისთვის	შერჩეულია ტრენინგისთვის	ჩატარებულია ტრენინგების პირველი ეტაპი

		საჭირო მიზნობრივი ჯგუფი		საჭირო მიზნობრივი ჯგუფი	სამიზნე ჯგუფებისთვის
2.2. ტრენინგები ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისთვის	05.2020 12.2021	ტრენინგის თემები შერჩეულია და პროგრამა გაწერილია; შერჩეული არიან ტრენინგში მონაწილეები;	გადამზადებულია 10 ადამიანი	გიდების გადამზადებით მოხდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა	მომსახურეობს ხარისხი ტურიზმის სექტორში არის გაუმჯობესებული
3.1 ჭიათურის მარკეტინგული პოზიციონირება ქართულ მედია სივრცეში	04.2020 12.2021	შერჩეულია მედია საშუალებები ჭიათურის მარკეტინგული პოზიციონირებისთვის ;	ჭიათურის საპრომოუშენო მასალები განთავსებულია საერთაშორისო მედია საშუალებებში;	განხორციელებული ვიზიტების და ღონისძიებების რაოდენობა	სტუმრად მყოფი დამთავარიელებლების რაოდენობის და ქალაქში დარჩენის ხანგრძლივობის ზრდა
3.2. ძუძუნას მღვიმის ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა	05.2020 12.2021	ბიუჯეტში ასახულია პროექტირებისათვის საჭირო თანხა	შემუშავებულია საპროექტო სახარტჯახრიცხო დოკუმენტაცია	შესრულებულია პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების პირველი ეტაპი 500 მ. ბილიკის რეაბილიტაცია	ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები დამთავრებულია
3.3. საბაგირო გზის ცენტრალურ სადგურთან ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა	04.2020 11.2021	დასრულებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები პირველ ლიკაციაზე	დასრულებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები მეორე ლიკაციაზე	დასრულებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები მესამე ლიკაციაზე	დასრულებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები მეოთხე ლიკაციაზე
მთელი ბიუჯეტის დახარჯული % (საორიენტაციო)	100%	25%	25%	25%	25%